თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1746350

ნომერი: AR1283480

თარიღი : 03.02.2015

გაცემის თარიღი : 23.02.2015

გაცნობის თარიღი : 23.02.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქურხული , N 14ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახაბერ კახიანი პ/ნ 01008002748
- თბილისი ირ. აბაშიძის 48

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის შენობის განთავსების დადასტურების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა

თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში (სექტორი – ისანი), ქურხულის ქ. N14ა–ში, პირველი კლასის შენობის განთავსების საკითხს.
პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (1. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდით N 01.17.01.102.038 ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882015018278; 2. არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა; 3. ფოტომონტაჟი; 4. ესკიზური პროექტი; 5. მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა;) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში (სექტორი – ისანი), ქურხულის ქ. N14ა–ში, პირველი კლასის შენობის განთავსების შესაძლებლობას.
გაითვალისწინეთ, რომ თუ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა–ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge